**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა** N8

ქ. თბილისი 2-mp/1 01. 03. 2012 წ.

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთო კიკალიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ საკანცელარიო, სამეურნეო და სხვა საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

2.2. ერთჯერადად მომსახურების ღირებულება შეადგენს 6 (ექვსი) ლარს.

**3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

**4. მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქეთო კიკალიშვილი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: შპს საქართველოს ფოსტა

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 01 მარტიდან 2012 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

**7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1.03 და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

**შემსყიდველი:**
**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის N 2**
საჯარო სკოლა
მის.: ზუგდიდი, სოფ.ოდიში
საიდენტიფიკაციო კოდი 220355238
ლიბერთი ბანკი: LBRTGE22
ანგარიში N GE08LB0121180703468000

სკოლის დირექტორი
ქეთო ჟვალიშვილი

**მიმწოდებელი:**
შპს ,,საქართველოს ფოსტა''
მის: ქ. თბილისი ვაგზლის მოედანი #2
საიდენტიფიკაციო კოდი 203836233
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE88LB0113194522215000

გენერალური დირექტორი
ლევან სანაძე